ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის რიგგარეშე სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 მაისის N114-1142214749 მომართვა-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებების მიხედვით შესაბამისი პროექტების დამტკიცების შესახებ;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N6

ქ.ქობულეთი 31 მაისი 2022 წელი

სხდომადაიწყო: 12-00 საათზე

დამთავრდა: 14-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ნათია თხილაიშვილი, გურამ აბაშიძე, ჯემალ ბლადაძე, თედო ტაკიძე, ლაშა ხახუტაიშვილი, ლია შაქარიშვილი, გიორგი გოგიტიძე, თეა მოწყობილი, ავთანდილ გოგიბერიძე, მამია ჟორდანია, ედნარ თურმანიძე, დავით პაპუნაიშვილი, გელა შაქარიშვილი, იოსებ ჟღენტი, ირაკლი ქათამაძე, ზურაბ ხინიკაძე, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი, ნატო შამილიშვილი, მირზა მახარაძე, ალექსანდრე ხიდაშელი, ზაზა თხილაიშვილი, გიზო ხალვაში, ია მესხიძე, შოთა გოგიტიძე.

სხდომას არ ესწრებოდა: დავით წულუკიძე, არჩილ ჯაფარიძე, ლაშა კომახიძე, ილონა ანანიძე, სოლომონ ბაჯელიძე, ჯეირან წულუკიძე, იამზე ცალქალამანიძე, სოსო ქიზინიძე, გიორგი კარალიძე, ირაკლი ტაკიძე, ედუარდ ქავჯარაძე, მერაბ ცინცაბაძე, ლევან მახარაძე, დავით ოქროპირიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით ვერულიძე;

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები: გელა გოგიტიძე, მალხაზ რომანაძე;

აჭარის - TV საზოგადოებრივი მაუწყებელი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - მამუკა ქათამაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეორე რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში - დავით ჯინჭარაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის რიგგარეშე სხდომის ოქმის შედგენა დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მარიამ ცეცხლაძეს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხი, სოფლის პროგრამების მხარდაჭერის შესახებ და იკითხა რაიმე წინადადებები ხომ არ აქვთ დეპუტატებს დღის წესრიგთან დაკავშირებით.

შოთა გოგიტიძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომის დასასრულს სურს რამდენიმე საკითხზე საუბარი.

დავით მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ სურს დღის წესრიგს დაემატოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მთლიანი დღის წესრიგი:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 მაისის N114-1142214749 მომართვა-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებების მიხედვით შესაბამისი პროექტების დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით ვერულიძე)

2. საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

(მომხსენებელი: დავით მჭედლიშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 მაისის N114-1142214749 მომართვა- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებების მიხედვით შესაბამისი პროექტების დამტკიცების შესახებ - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ დავით ვერულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მუნიციპალიტეტებისთვის გამოიყო თანხები, მათ შორის ქობულეთისთვის. მთლიანი თანხა შეადგენს 846 000 ლარს. თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა სოფლის კრებები და განისაზღვრა ჩასატარებელი სამუშაოები. დასახლებების მიხედვით გამოყოფილია სხვადასხვა თანხები 20 000 ლარი. არის ზედა ზღვარი და ნაკლებად დასახლებულ სოფლებს გადაეცემა 16 000 ან 10 000 ლარი, ამის მიხედვით დაიგეგმა ღონისძეიებები და საჭიროა საკრებულოს თანხმობა, რომ დაიწყოს სამუშაოები.

დავით მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს დეპუტატები აქტიურად იყო ჩართული მოსახლეობასთან შეხვედრების დროს და მოქალაქეების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება მოხდა.

გურამ აბაშიძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობაზე ორიენტირებული საკითხია წარმოდგენილი და სოფლებში აქტუალურ საჭიროებებს ეხება. მადლობა გადაუხადა ხელისუფლებას ასეთი მხარდაჭერისთვის.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებების მიხედვით შესაბამისი პროექტების დამტკიცების შესახებ-საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N41

(განკარგულება თან ერთვის)

2. საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ გიორგი გოგიტიძემ კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა თეა მოწყობილის კანდიდატურა. წარმოდგენილ კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს ყველა წევრმა.

სხვა კანდიდატები არ დასახელებულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრებს უზრუნველეყოთ საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისთვის ფარული კენჭისყრის ჩატარება.

აღნიშნული პროცედურების ჩატარება უზრუნველყო იურიდიული კომისიის წევრებმა გურამ აბაშიძემ, დავით პაპუნაიშვილმა და ლაშა ხახუტაიშვილმა.

გურამ აბაშიძემ განმარტა, რომ შედგენილ იქნა 39 ბიულეტენი, ფარული კენჭისყრის შედეგად რეგისტრაცია გაიარა 25 დეპუტატმა და 25 ხმით, ფარული კენჭისყრით, არჩეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ თეა მოწყობილის კანდიდატურა.

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N42

(განკარგულება თან ერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარემ და საკრებულოს წევრებმა მიულოცეს თეა მოწყობილს და წარმატებები უსურვეს სამომავლო საქმიანობაში.

ია მესხიძემ მიულოცა თეა მოწყობილს საპასუხისმგებლო თანამდებობდა და ნაყოფიერი მუშობა უსურვა. ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე ოჯახის პრობლემაზე სურდა საუბარი. კერძოდ, სოფელ კონდიდში, რომელიც ეკუთხვნის სოფელ ხუცუბანს სურიე და ბესირე გიორგაძეების ოჯახებს აქვთ პრობლემა. ფერდობი, რომელიც საცხოვრებელ სახლებთანაა ყოველი გაწვიმების შემდეგ იშლება და გამაგრებას საჭიროებს. ამ ოჯახებმა 3 თვის წინ მიმართა მერიას, დაიწერა გეოლოგების შესაბამისი დასკვნებიც, თუმცა სამუშაოები ამ დრომდე არ დაწყებულა. დროულად უნდა გაეწიოს შესაბამისი დახმარება ამ ოჯახებს და ყოველი გაწვიმების დროს საფრთხის ქვეშ არ უნდა გრძნობდნენ თავს ჩვენი მოქალაქეები. ია მესხიძემ ასევე, აღნიშნა, რომ წინა საკრებულოს სხდომაზე დასახელებული

მოქალაქეების პრობლემებზე რეაგირება არ ყოფილა, არავინ მისულა მათ დასახმარებლად და არ შეიძლება ასეთი პრობლემების უყურადღებოდ დატოვება.

ჯემალ ბლადაძემ აღნიშნა, რომ გიორგაძეების ოჯახები მდგომარეობას იცნობს და საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად არაერთხელ ყოფილა ადგილზე. ყველა ეს თემა გავლილია და ველოდებით სამუშოების დაწყებას.

ია მესხიძემ განაცხადა, რომ მთავარი არის შედეგი. მხოლოდ მისვლა და მდგომარეობის დათვალიერება არ არის საკმარისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი